ქართული საბავშვო დრამატურგია თანდათან გამდიდრდა "პატრიოტული" და ისტორიულ-რევოლუციური თემატიკით. ამ მხრივ აღსანიშნავია ისტორიულ-ბიოგრაფიული პიესა "ლადო კეცხოველი" (ვ.ნახუცრიშვილის და ქ.გამრეკელის); "ცეცხლის ხიდზე" (დადუა თაყაიშვილისა), რომელშიც ასახულია ბორის ძნელაძის მეთაურობით ქართველი კომკავშირელების ბრძოლა საქართველოში მენშევიკური რესპუბლიკის წინააღმდეგ.

* * *

ოცი-ოცდაათიანი წლების ქართული საბავშვო დრამატურგია შემდგომში აღმავლობის გზაზე დგას, თუმცა როგორც, საზოგადოდ, ეს ჟანრი ჩვენი მწერლობის სხვა ჟანრებთან შედარებით (ეპოსი, ლირიკა), დღემდე სუსტია. ამის მიუხედავად, ქართული საბავშვო დრამატურგია და თეატრი გარკვეულ გავლენას ახდენს ჩვენი მომავალი თაობის ესთეტიკურ დონეზე.

* * *

დასკვნებში შეჯამებულია ოცი-ოცდაათიანი წლების ქართული საბავშვო მწერლობის (პოეზია, პროზა, დრამატურგია) განვითარების ძირითადი ტენდენციები.

სადისერტაციო ნაშრომი გამოქვეყნებულია ცალკე წიგნად: "ქართული საბავშვო მწერლობა (20-30-იანი წლები)", 1995, 8 თაბახი და ნაკითხულია მოხსენებად რუსთაველის სახ.ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის XXIV რესპუბლიკურ სამეცნიერო სესიაზე (1990 წ.).

A
9270.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

მარინა მეღულაშვილი

ქართული საბავშვო მწერლობა
(20-30-იანი წლები)

10.01.02 - ქართული ლიტერატურის ისტორია

სადისერტაციო მაცნე
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1995

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უახლესი პერიოდის განყოფილებაში

მეცნიერი ხელმძღვანელი – დავით თევზაძე – პროფესორი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ოფიციალური ოპონენტები:

1. როსტომ ჩხეიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
2. კლარა კოკაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1995 წლის 28 ივნისს 14 საათზე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო-სადისერტაციო სპეციალიზირებული საბჭოს სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში – მისამართი: თბილისი, 380008, კოსტავას ქ.N 5.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 1995 წლის 19 მაისს.

სადისერტაციო-სამეცნიერო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი ნ. ანდრონიკაშვილი

თემის აქტუალობა. ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის მიერ ქართული მწერლობის არც ერთი უბანი არ არის ისე უყურადღებოდ დატოვებული, როგორც საბავშვო მწერლობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აწ განსვენებულთა ხელიუბნელის, თინა ჯიბლაძის, ანა ღვინიაშვილის, ელპიძე ჯიბუტის, აგრეთვე ა.ჩაჩიბაიას, ზ.ბოცვაძის, ლ.გვარამაძის და კიდევ რამდენიმე გამოქვეყნებულ ნაშრომს ქართულ საბავშვო მწერლობაზე, შეიძლება ითქვას, ეს დარგი დღემდე არ გამხდარა მეცნიერული შესწავლის ობიექტი; ამის შედეგია ის, რომ დღემდე არ არსებობს მონოგრაფიული გამოკვლევა საბავშვო მწერლობის განვითარების გზაზე. ეს საქმე კი განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა საბჭოური იდეოლოგიურ-ესთეტიკური დოქტრინის უარყოფის შემდეგ მიმდინარეობს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით იდეოლოგიურ-ჰუმანიტარულ, კერძოდ, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში მხატვრული ნაწარმოებებისა და მთელი პროცესების გადაფასება, მათი ახალი ესთეტიკური კრიტერიუმებით შეფასება.

გამოკვლევის მიზანია თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებიდან მეცნიერულად შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ქართული საბავშვო მწერლობა (ოცი-ოცდაათიანი წლები); გავითვალისწინოთ ქართული საბავშვო მწერლობის ტრადიციები (თემატიკა, იდეურ-მხატვრული თავისებურება, წარმოსახვის ფორმები) და ამ ფონზე საბავშვო მწერლობის განვითარება საბჭოური პერიოდის ურთულეს პოლიტიკურ ატმოსფეროში. ახალი თანამედროვე მხატვრული საზომებით შევაფასოთ საბავშვო მწერლობის პროცესები და მნიშვნელოვანი მხატვრული ქმნილებები. შევნიშნოთ საბავშვო მწერლობის ძირითადი მოტივები, მათი მხატვრული თავისებურებანი და მაშინდელ სინამდვილესთან შეფარდებით კრიტიკულად განვიხილოთ არსებული სამეცნიერო და კრიტიკული ლიტერატურის გათვალისწინებით (კრიტიკული ანალიზი აუცილებელია, რამდენადაც ტოტალიტარული წყობილება აიძულებდა შემოქმედსაც და თვით კრიტიკოსსაც,